ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. თებერვლის 29. № 3 ნაწილი პირველი

შინაარსი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

19. საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების ორგანოს რუსული სახელწოდების შეცვლის შესახებ.

20. ქალ. ზუგდიდში და ოზურგეთში საქალაქო საბჭოების დაარსების შესახებ.

21. 1932 წლის გაზაფხულს მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

22. მებამბეობის 1932 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ.

ფინანსები.

23. სოფლის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

24. ქალ. ქუთაისში მდებარე სახლების მიმართ 1932 წლის მარტის 1-მდე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილების მოქმედების განგრძობისათვის, რომელი დადგენილებაც ეხება „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არმყოფ პირთა გამოსახლების თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათ.

სოციალურ-კულტურული წყობილება.

25. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბავშვთა ცხოვრების პირობების გამაუმჯობესებელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბავშვთა ცხოვრების პირობების გამაუმჯობესებელი კომისიის შესახებ.

26. კინოფიკაციის ფონდების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

სისხლის სამართალი.

27. სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხლის პირველი ნაწილის შეცვლის შესახებ.

28. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 196[2] მუხლის დამატების შესახებ.

29. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 210[1] მუხლის დამატებისა და ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განხილვის წესის შესახებ.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

19. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების ორგანოს რუსული სახელწოდების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. რუსული სახელწოდება საქართველოს სსრ-ის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულისა, რომელიც გამოდის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემით, შეიცვალოს და ამ ორგანოს ეწოდოს „Собрание законов и распоряжений Рабоче-крестьянского Правительства ССР Грузии“.

2. ამისდამიხედვით „საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის აპრილის 25-ის დადგენილების 1, 2, 3, 4, 6, 9, 10 და 15 მუხლებისა (კან. კრ. 1928 წ. მე-7 №-ი, მუხ. 52; 1931 წ. მე-15 №-ი, მუხ. 167) და ყველა სხვა საკანონმდებლო აქტის რუსულ ტექსტში, სადაც მოხსენებულია აღნიშნული ორგანო, სიტყვა „узаконений“ ამ ორგანოს სახელწოდებაში შეიცვალოს სიტყვად „законов“.

3. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1932 წ. იანვრის 1-დან.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. იანვრის 20.

ტფილისი.

---

20. დადგენილება ც.ა.კ.

ქალ. ზუგდიდში და ოზურგეთში საქალაქო საბჭოების დაარსების შესახებ.

საქართველოს სსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 64 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

1. ქალ. ზუგდიდში და ოზურგეთში, ამჟამად არსებული სასოფლო საბჭოების ნაცვლად, მოეწყოს საქალაქო საბჭოები „ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულებით“ გათვალისწინებულ საერთო საფუძველზე.

2. საქალაქო საბჭოს არჩევნებისათვის ქალ. ზუგდიდში და ოზურგეთში დაწესებულ იქნეს საარჩევნო ნორმა—ერთი დეპუტატი ყოველ 50 ამომრჩეველზე.

3. ამ დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ ზუგდიდის და ოზურგეთის სასოფლო საბჭოები დაიშალოს და მოხდეს საქალაქო საბჭოების არჩევნები საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ.

II.

„ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულების“ 1 მუხლი და 6 მუხლის 1-ლი ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-ი, მუხ. 18) შეიცვალოს შემდეგნაირად:

„1. ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები ქვემომდევნო მუხლებით გათვალისწინებულ საფუძველზე ეწყობა ქალაქ ტფილისში, ბათომში, სოხუმში, ცხინვალში (სტალინირი), ქუთაისში, ფოთში, გორში, ხაშურში (სტალინისი), ბორჯომში, ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ზუგდიდში და ოზურგეთში.

შენიშვნა. ქალაქ თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ლუქსემბურგში, შაუმიანში, ახალციხეში, ახალქალაქში, ონში, ხონში, სენაკში, ოჩემჩირეში, გუდაუთში და გაგრაში ეწყობა სასოფლო საბჭოები სასოფლო საბჭოების შესახებ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე“.

„6. (ნაწ. I) ქალაქის საბჭო ირჩევა შემდეგი ანგარიშით: ტფილისში—ერთი დეპუტატი 200 ამომრჩეველზე, ქუთაისში—ერთი დეპუტატი 150 ამომრჩეველზე, ბათომში—ერთი დეპუტატი 100 ამომრჩეველზე, სოხუმში, ცხინვალში (სტალინისი), ფოთში, გორში, ხაშურში (სტალინირი), ბორჯომში, ჭიათურაში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ზუგდიდში და ოზურგეთში—ერთი დეპუტატი 50 ამომრჩეველზე“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. იანვრის 29.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. დადგენილება ს.კ.ს.

1932 წლის გაზაფხულს მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

რადგანაც მიმდინარე წლის გაზაფხულს მოსალოდნელია დიდი წყალდიდობა, რასაც შეუძლიან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობას ზიანი მიაყენოს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოეწყოს წყალდიდობასთან ბრძოლის საგანგებო კომისია საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრისა, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსისა, საქართველოს სსრ გზატკეცილების, ყამირგზების და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსისა და ამიერკავკასიის რკინის გზათა დირექციის წარმომადგენლის შედგენილობით, თანაც გადაეცეს ამ კომისიას ყველა ფუნქცია საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არსებული წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის კომიტეტისა, რომელიც გათვალისწინებულია წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის დეკემბრის 10-ის დადგენილებით (საქ. კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 340). დაეკისროს აღნიშნულ კომისიას უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რაც მიმართული იქნება იქითკენ, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თავის დროზე მომზადება და მიმდინარე წლის გაზაფხულს მოსალოდნელ წყალდიდობასთან ბრძოლის ჩატარება, კერძოდ, მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოთა თავის დროზე შესრულება და როგორც არსებულ, ისე ახლად მოწყობილ მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელ ნაგებობათა დაცვა.

2. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე საქალაქო და სასოფლო საბჭოებს, რომელთა ქვემდებარე ტერიტორიაზედაც მიმდინარე წლის გაზაფხულს შესაძლებელია წყალდიდობა იქნეს, დაუყოვნებლივ მოაწყონ წყალდიდობასთან ბრძოლის საგანგებო კომისიები სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა თავმჯდომარეობით—კუთვნილებისამებრ—და წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოებისა და ადგილობრივი საგზაო ორგანოების წარმომადგენელთა შედგენილობით.

დაევალოს ზემოაღნიშნულ ადგილობრივ საგანგებო კომისიებს: ა) დაუყოვნებლივ დაამყარონ კავშირი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო კომისიასთან; ამასთანავე სარაიონო საგანგებო კომისიები ამ კავშირს სახალხო კომისართა საბჭოს საგანგებო კომისიასთან იქონიებენ უშუალოდ, ხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო სასოფლო და საქალაქო კომისიები (გარდა იმ კომისიებისა, რომელნიც მოწყობილი იქნებიან დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილ საქალაქო საბჭოებთან)—სათანადო სარაიონო საგანგებო კომისიების მეშვეობით; ბ) იმოქმედონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგანგებო კომისიის დირექტივების თანახმად.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს იხმარონ ღონისძიებანი, რათა წყალდიდობასთან ბრძოლის ადგილობრივი კომისიები უზრუნველყოფილ იქნენ საჭირო საშენი მასალით (წნელი და სხვა ხე-ტყის მასალა, რაც საჭიროა წყალდიდობასთან ბრძოლის ნაგებობათა ასაშენებლად).

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წლალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოები უზრუნველჰყოს საჭირო საშენი მასალით ცენტრალიზებული ფონდიდან.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, წყალდიდობასთან ბრძოლის ცენტრალური და ადგილობრივი საგანგებო კომისიების მოთხოვნით, შემოიღონ შრომის და ჭაპანზიდვის ბეგარა მოსახლეობისათვის იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1930 წ. დეკემბრის 10-ის დადგენილების მე-12 მუხლში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. თებერვლის 11.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 37 №-ში 1932 წ. თებერვლის 14.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

22. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.(ბ)პ.ც.კ.

მებამბეობის 1932 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ.

მებამბეობის 1932 წლის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა შესახებ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ № 10 1932 წ. იანვრის 11-ისა) საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. სარწყავი ბამბის საერთო ფართობი საქართველოს სსრ-ში 1932 წლისათვის განისაზღვროს 28.000 ჰექტ. რაოდენობით; ეს ფართობი განაწილებულ იქნეს შემდეგნაირად რაიონებისა და სექტორების მიხედვით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჩალოს რაიონი . . . . 12.000 ჰექტ. სახელშეკრულებო სექტორში;
ყარაიას რაიონი . . . . . 5.500 ჰექტ., აქედან სახელშეკრულებო სექტორში 4.000 ჰექტ. და საბჭოთა მეურნეობების სექტორში 1.500 ჰექტ.;
ლუქსემბურგის რაიონი . . 1.000 ჰექტ. სახელშეკრულებო სექტორში;
სიღნაღის რაიონი . . . . 7.500 ჰექტ., აქედან სახელშეკრულებო სექტორში 3.500 ჰექტ. და საბჭოთა მეურნეობების სექტორში 4.000 ჰექტ.;
გურჯაანის რაიონი . . . . 1.000 ჰექტ. სახელშეკრულებო სექტორში;
გარე-კახეთის რაიონი . . . 1.000 ჰექტ. სახელშეკრულებო სექტორში.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს უზრუნველჰყოს სამელიორაციო სამუშაოთა შედეგად ფართობის გამოსავალი 12.000 ჰექტ. რაოდენობით (აქედან მსხვილი სამუშაოების ხაზით— 5.000 ჰექტ.); ამასთანავე, ეს ფართობი განაწილებულ იქნეს შემდეგნაირად რაიონების მიხედვით:

სიღნაღის რაიონი (ალაზანი) 5.000 ჰექტ. (მსხვილი მშენებ.), აქედან გაზაფხულისათვის 4.000 ჰექტ.;
ბორჩალოს რაიონი . . . 5.100 ჰექტ. აქედან გაზაფხულისათვის 3.100 ჰექტ.;
გურჯაანის რაიონი . . . 1.000 ჰექტ. გაზაფხულისათვის 1.000 ჰექტ.;
გარე-კახეთის რაიონი . . 1.000 ჰექტ. გაზაფხულისათვის 1.000 ჰექტ.;
ლუქსემბურგის რაიონი . . 200 ჰექტ. გაზაფხულისათვის 200 ჰექტ.;
სულ 12.000 ჰექტ., ხოლო გაზაფხულისათვის 9.300 ჰექტარი.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს განახორციელოს საჭირო მუშაობა არსებული ქსელის ექსპლოატაციის გასაუმჯობესებლად 300 ჰექტარზე და ჩაატაროს ერთთვიური ა/წ. თებერვლის 15-დან მარტის 15-მდე სარწყავი ქსელის არხების გასაწმენდად.

4. ბამბის გადასარგავი კულტურის ფართობი განისაზღვროს 550 ჰექტ. რაოდენობით; ამასთანავე ეს ფართობი განაწილებულ იქნეს შემდეგნაირად რაიონებისა და სექტორების მიხედვით:

ყარაიას რაიონი . . . . . 200 ჰექტ. კოლმეურნეობებში და 50 ჰექტ. საბჭოთა მეურნეობებში;
ბორჩალოს რაიონი . . . . . 150 ჰექტ. კოლმეურნეობებში;
სიღნაღის რაიონი (ალაზანი). 150 ჰექტ. საბჭოთა მეურნეობებში.

5. ზამთრის არატის ოდენობა განისაზღვროს 3.200 ჰექტ. შემდეგ რაიონებში:

სახელშეკრულებო სექტორში:

ბორჩალოს რაიონი . . . . . 2.000 ჰექტ.
ყარაიას რაიონი. . . . . 1.000 „
ლუქსემბურგის რაიონი . . . . . 200 „

არატის დამთავრების ვადად დაწესებულ იქნეს ა/წ თებერვლის 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. მინერალური სასუქით გასაპატივებელი ფართობი განისაზღვროს 2.169 ჰექტ. რაოდენობით; ამასთანავე ეს ფართობი განაწილებულ იქნეს შემდეგნაირად რაიონებისა და სექტორების მიხედვით:

ბორჩალოს რაიონი . . . 1.000 ჰექტ. სახელმეკრულებო სექტორში;
ყარაიას რაიონი . . . . 569 ჰექტ. სახელმეკრულებო სექტორში და
300 ჰექტ. საბჭოთა მეურნეობების სექტორში;
სიღნაღ. რაიონი (ალაზანი) 300 ჰექტ. საბჭოთა მეურნეობების სექტორში.

7. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის მებამბეობის შენაერთს უზრუნველჰყოს ბამბის სათესი ფართობი სათესლე მასალით 29.200 ცენტნერის რაოდენობით, საიდანაც 16.250 ცენტ. „ყარაიას კინგა“ უნდა იყოს.

8. მოსავლიანობა 1932 წლისათვის საქართველოს სსრ-ში დაწესებულ იქნეს ჰექტარზე საშუალოდ 5,8 ცენტნერი ბამბა შემდეგი დიფერენციაციით სექტორების მიხედვით:

საბჭოთა მეურნეობის სექტორში . . . 6,9 ცენტ.
კოლმეურნეობათა სექტორში . . . . 5,5 „
ინდივიდუალურ სექტორში. . . . . 5,4 „

9. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ბამბის თესვის გეგმები დაიყვანონ სოფლამდე, კოლმეურნეობამდე და კომლამდე, თანაც უზრუნველჰყონ ამ გეგმების განხილვა ღარიბთა და საშუალო გლეხთა და კოლმეურნეთა კრებებზე.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად, შეუდგეს სარწყავი სისტემების რემონტს და მიიღოს გადამწყვეტი ღონისძიებანი წყლის სარგებლობის მოსაწესრიგებლად და წყლის სფეროში დისციპლინის დასამყარებლად, უზრუნველჰყოს ბამბით ნათესი ფართობის ღამით რწყვა და წყლის ეკონომიური გამოყენება და აგრეთვე წყლის დაუზოგველი სარგებლობისა და სარწყავი სისტემებისადმი დაუდევარი მოპყრობის თავიდან აცდენა.

ბორჩალოსა და ყარაიაში სარწყავი სისტემების რემონტის დამთავრებისა და 1932 წლის ბამბის გეგმის შესრულების უზრუნველყოფა წყალსამეურნეო სამუშაოთა განხორციელების ვადად დაწესებულ იქნეს 1932 წლის აპრილის 1.

11. წინადადება მიეცეს ბამბის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უზრუნველჰყონ წყლის სარგებლობის გეგმის განხილვა წყლის მოსარგებლეთა მიერ.

12. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, მემინდვრეობა-მეცხოველეობის კავშირთან ერთად, დააწესოს რაიონების მიხედვით თესვის დაწყება და დამთავრება და არა უგვიანეს ა/წ. თებერვლის 15-ისა გამოაქვეყნოს სათანადო დადგენილება.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 15 დღის ვადაზე შეიმუშაოს ყველა დანარჩენი ღონისძიებანი აგროკომპლექსის დარგში და დაიყვანოს ეს ღონისძიებანი რაიონებამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს საქართველოს ტრაქტოროცენტრთან და ამიერკავკასიის მებამბეობის შენაერთთან ერთად, შეიმუშაოს ა/წ. თებერვლის 10-მდე მექანიზაციის საკითხი და მანქანებით მომარაგების გეგმა 1932 წლისათვის და წარმოუდგინოს იგი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

15. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, ორი დეკადის ვადაზე გამოარკვიოს მუშა-ძალის საჭიროება მებამბეობის რაიონებში, ხოლო საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატმა უნდა უზრუნველჰყოს ბამბის რაიონები მუშა-ძალით.

16. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს საქართველოს ბამბის რაიონები აგროპერსონალით შემდეგი რაოდენობით: 64 აგრონომი (1 აგრონომი 500 ჰექტარზე), 250 აგროტეხნიკოსი) 4 აგროტეხნიკოსი 500 ჰექტარზე), 256 უფროსი მემინდვრე (იმავე ანგარიშით) და 4.800 კაცი მორწყვის საქმისათვის (15 კაცი 500 ჰექტარზე).

17. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს ბამბის რაიონების თავის დროზე მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით ამ საგანზე მოცემული დირექტივების თანახმად.

18. წინადადება მიეცეს საქართველოს გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს ერთი დეკადის ვადაზე შეიმუშაოს მებამბეობის რაიონებში საგზაო მშენებლობის გეგმა და წარმოუდგინოს იგი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

19. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს სასანიტარო-სამედიცინო დახმარების ქსელის გაშლა და მალარიასთან ბრძოლა ბამბის რაიონებში ამ უკანასკნელთა მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, 15 დღის ვადაზე გამოარკვიოს სადგომებისა და ინვენტარის საჭიროება, შეუთანხმოს დაინტერესებულ ორგანიზაციებს ამ სადგომებისა და ინვენტარის მიცემის საკითხი და წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური მოხსენება.

20. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს გაშალოს ბამბის ყველა რაიონში პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რისთვისაც მოაწყოს კინოები, ქოხ-სამკითხველოები, საბავშო ბაღები და მოედნები, კლუბები და აგრეთვე უზრუნველჰყოს მოსახლეობა სათანადო პოპულარული ლიტერატურით მშობლიურ ენაზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კომ. (ბ) პარტიის ც. კ-ის მდივანი **გ. ყურულაშვილი.**

1932 წ. თებერვლის 7.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 35 №-ში 1932 წ. თებერვლის 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

23. დადგენილება ს.კ.ს.

სოფლის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების ჩატარების შესახებ.

თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 17-ის დადგენილებისა „სოფლის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების დაწესების შესახებ“ (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია“-ს 1932 წლის 18 (4585) №-ი) და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 23-ის თარიღის და 442 №-ის დადგენილებისა—აღნიშნული გამოსაღების შესაბამ ღონისძიებათა შესახებ („ზარია ვოსტოკა“-ს 1932 წ. 21 (2530) №-ი), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ერთდროული გამოსაღები სოფლის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის საჭიროებისათვის ჩატარებულ იქნეს 1932 წელს სოფლად, სააგარაკო დაბებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, სადაც მოსახლეობა, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწევა, დაბეგრილ იყო 1931 წელს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.

2. გამოსაღებით დაიბეგრებიან:

ა) კოლმეურნენი;

ბ) ინდივიდუალური მეურნეობანი;

გ) სოფლად და სააგარაკო დაბებში მუდმივ მცხოვრები სხვა მოქალაქენი, რომელთაც აქვთ შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო, თუნდაც ისინი სოფლის მეურნეობას არ მისდევდენ.

კოლექტიური მეურნეობანი ერთდროული გამოსაღებით არ იბეგრებიან.

შენიშვნა 1. ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში გამოსაღებით ამა დადგენილების წესისამებრ, იბეგრებიან მხოლოდ ის მეურნეობანი, რომელნიც 1931 წელს დაბეგრილ იყვნენ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ან განთავისუფლებულ იქნენ ამ გადასახადისაგან რაიმე შეღავათის მიხედვით.

შენიშვნა 2. სოფლად და სააგარაკო დაბებში მცხოვრები მუშები და მოსამსახურეები, კოოპერირებული შინამრეწველები და ხელოსნები, რომელნიც ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მუშაობენ, გამოსაღებით ამა დადგენილების წესისამებრ არ დაიბეგრებიან.

ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მცხოვრები მუშები და მოსამსახურეები, კორპერირებული შინამრეწველები და ხელოსნები, რომელნიც სოფლად და სააგარაკო დაბებში მუშაობენ, დაიბეგრებიან გამოსაღებით მუშაობის ადგილის მიხედვით.

ის მუშები და მოსამსახურეები, რომელნიც კოლექტიური მეურნეობის წევრნი არიან, დაიბეგრებიან გამოსაღებით მხოლოდ მათი მუშაობის თუ სამსახურის საშოვრის კვალობაზე.

3. გამოსაღების გადახდისაგან განთავისუფლდება:

ა) ყუშა, მოსამსახურე, შინამრეწველი და ხელოსანი, რომელიც სოფლის მეურნეობას არ ეწევა, უკეთუ მისი საშოვარი თვეში 40 მან. არ აღემატება;

ბ) საკადრო მერიგეთა და თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური, გარდა ხანგრძლივ შვებულებაში მყოფისა; რეზერვში მყოფი თავმდგომთა შედგენილობის სამხედრო მსახური; მუშათა და გლეხთა მილიციის სამწყობრო შედგენილობისა და გამხედროებული დაცვის პირი (მათ შორის გამხედროებული სახანძრო დაცვის პირი);

გ) სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა თუ საქართველოს სსრ-ის ერთი ან რამდენიმე ორდენით ან საპატიო რევოლიუციონური იარაღით დაჯილდოებული პირი და შრომის გმირი;

დ) ომის ინვალიდი და შრომის ინვალიდი, რომელიც მიკუთვნებულია ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე კატეგორიისათვის;

ე) პენსიონერი, რომელიც პენსიას სახელმწიფო ორგანოსაგან თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან იღებს და რომელსაც სხვა შემოსავალი არ აქვს;

ვ) სახელმწიფო სტიპენდიაზე მყოფი მოსწავლე.

4. დუშეთისა, ხევისა, ერწო-თიანეთისა, წალკისა და ოკრიბის რაიონებში გამოსაღები გადაჰხდება:

ა) კოლმეურნეს, რომელსაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი აქვს და რომელიც 1931 წელს დაბეგრილი იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით,—12 მან. რაოდენობით მეურნეობაზე;

ბ) კოლმეურნეს, რომელსაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი აქვს და რომელიც 1931 წელს განთავისუფლებულ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან,—8 მან. რაოდენობით მეურნეობაზე;

გ) ინდივიდუალურ მეურნეობას, რომელიც 1931 წელს განთავისუფლებულ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან,—8 მან. რაოდენობით მეურნეობაზე.

ტოლოშისა, ბოგდანოვკისა, ხორაგაულისა, ჭიათურისა, ჩხარისა, ცაგერისა, ონისა, მარტვილისა, ჩხოროწყუისა, წალენჯიხისა, ფოთისა, ოზურგეთისა, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებში გამოსაღები გადაჰხდება:

ა) კოლმეურნეს, რომელსაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი აქვს და რომელიც 1931 წელს დაბეგრილ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით,—14 მან. რაოდენობით მეურნეობაზე;

ბ) კოლმეურნეს, რომელსაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი აქვს და რომელიც 1931 წელს განთავისუფლებულ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან,—10 მან. რაოდენობით მეურნეობაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ინდივიდუალურ მეურნეობას, რომელიც 1931 წელს განთავისუფლებულ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან,—10 მან. რაოდენობით მეურნეობაზე.

ტფილისისა, მცხეთისა, გარე-კახეთისა, სიღნაღისა, ლაგოდეხისა, ყარაიას, ბორჩალოს, კასპისა, სტალინისისა, ბორჯომისა, ახალციხისა, ადიგენისა, ახალქალაქისა, ვანისა, ამბროლაურისა და აბაშის რაიონებში გამოსაღები გადახდება:

ა) კოლმეურნეს, რომელსაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი აქვს და რომელიც 1931 წელს დაბეგრილ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით,—16 მან. რაოდენობით მეურნეობაზე;

ბ) კოლმეურნეს, რომელსაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი აქვს და რომელიც 1931 წელს განთავისუფლებულ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან,—12 მან. რაოდენობით მეურნეობაზე;

გ) ინდივიდუალურ მეურნეობას, რომელიც 1931 წელს განთავისუფლებულ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან,—12 მან. რაოდენობით მეურნეობაზე.

თელავისა, ყვარელისა, ალბულახ-მანგლისისა, გორისა, ზესტაფონისა, ქუთაისისა, ხონისა, ბაღდადისა, სამტრედიისა, სენაკისა, ხობისა და ზუგდიდის რაიონებში გამოსაღები გადაჰხდება:

ა) კოლმეურნეს, რომელსაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი აქვს და რომელიც 1931 წელს დაბეგრილ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით,—18 მან. რაოდენობით მეურნეობაზე;

ბ) კოლმეურნეს, რომელსაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი აქვს და რომელიც 1931 წელს განთავისუფლებულ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან,—14 მან. რაოდენობით მეურნეობაზე;

გ) ინდივიდუალურ მეურნეობას, რომელიც 1931 წელს განთავისუფლებულ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან,—14 მან. რაოდენობით მეურნეობაზე.

გურჯაანისა, ლუქსემბურგისა და ბაშკიჩეთის რაიონებში გამოსაღები გადახდება:

ა) კოლმეურნეს, რომელსაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი აქვს და რომელიც 1931 წელს დაბეგრილ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით,—20 მან. რაოდენობით მეურნეობაზე;

ბ) კოლმეურნეს, რომელსაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი აქვს და რომელიც 1931 წელს განთავისუფლებულ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან,—16 მან. რაოდენობით მეურნეობაზე;

გ) ინდივიდუალურ მეურნეობას, რომელიც 1931 წელს განთავისუფლებულ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან,—16 მან. რაოდენობით მეურნეობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში გამოსაღები გადაჰხდება:

ა) კოლმეურნეთ, რომელთაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი აქვთ და რომელიც 1931 წელს დაბეგრილ იყვნენ ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადით,—12 მანეთიდან 20 მანეთამდე მეურნეობაზე;

ბ) კოლმეურნეთ, რომელთაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი აქვთ და რომელნიც 1931 წელს განთავისუფლებულ იყვნენ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან,—8 მანეთიდან 16 მანეთამდე მეურნეობაზე;

გ) ინდივიდუალურ მეურნეობათ, რომელნიც 1931 წელს განთავისუფლებულ იყვნენ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან,—8 მანეთიდან 16 მანეთამდე მეურნეობაზე.

ამა მუხლში აღნიშნულ მეურნეობათა კატეგორიებისათვის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები დააწესებენ გამოსაღების მტკიცე განაკვეთებს რაიონებზე, რისთვისაც მხედველობაში მიიღებენ რაიონების განსაკუთრებულ პირობებს.

6. ყველგან გამოსაღები გადაჰხდება:

ა) კოლმეურნეს, რომელსაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი არ აქვს—5 მან. რაოდენობით მეურნეობაზე;

ბ) ინდივიდუალურ შრომითს მეურნეობას, რომელიც 1931 წელს დაბეგრილ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით,—ამ გადასახადის შეწერილი განაკვეთის რაოდენობით, ხოლო არა ნაკლებ გამოსაღების იმ განაკვეთისა, რაც უწყებულ სოფელში დადგენილია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილ კოლმეურნეთათვის;

გ) კულაკურ მეურნეობას, რომელიც 1931 წელს დაბეგრილ იყო ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ,—1931 წელს შეწერილი ამ გადასახადის განაკვეთის რაოდენობით, ხოლო არა ნაკლებ 150 მ. მეურნეობაზე.

7. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ შესცვალონ განსაკუთრებულ შემხვევაში რაიონის ცალკეული სოფლებისათვის ამა დადგენილების მე-4 მუხლით ან მე-5 მუხლის წესისამებრ დადგენილი გამოსაღების განაკვეთები.

შენიშვნა. დადგენილი გამოსაღების განაკვეთების შეცვლა ცალკეულ გადამხდელთათვის სოფლის ფარგლებში არ შეიძლება.

8. სასოფლო საბჭოს უფლება აქვს გაანთავისუფლოს გამოსაღებისაგან მთლად ან ნაწილობრივ ესა თუ ის კოლმეურნე. რომელსაც არაგანსაზოგადოებული შემოსავალი არ აქვს, ან რომელსაც აქვს არაგანსაზოგადებული შემოსავალი და რომელიც განთავისუფლებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, აგრეთვე—ინდივიდუალური შრომითი მეურნეობა, რომელიც განთავისუფლებულია ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან მცირეძალოვნების გამო.

9. იმ მუშას, მოსამსახურეს, შინამრეწველს და ხელოსანს, რომელიც სოფლის მეურნეობას არ ეწევა, გამოსაღები გადაჰხდება მისი თვიური საშოვრის მიხედვით შემდეგი რაოდენობით:

თვიური საშოვრის რაოდენობა მანეთობით.	გამოსაღების რაოდენობა მანეთობით.	
	მუშას, მოსამსახურეს და კოოპერირებულ შინამრეწველს და ხელოსანს.	არაკოოპერირებულ შინამრეწველს და ხელოსანს.
40 მან. მეტი 75 მანეთამდე	8	12
75 „ „ 125 „	15	25
125 „ „ 175 „	25	45
175 „ „ 225 „	40	70
225 „ „ 275 „	60	110
275 მან. მეტი	75	130

სასოფლო საბჭოს უფლება აქვს გაანთავისუფლოს გამოსაღებისაგან მთლად ან ნაწილობრივ ესა თუ ის მუშა და მოსამსახურე და კოოპერირებული შინამრეწველი და ხელოსანი.

10. მუშისა, მოსამსახურისა, შინამრეწველისა და ხელოსნის თვიურ საშოვრად ითვლება:

ა) მუშისა, მოსამსახურისა და კოოპერირებული შინამრეწველისა და ხელოსნისათვის—გამოსაღების გადახდის პირველი ვადის წინამორბედი თვის საშოვრის თანხა;

ბ) არაკოოპერირებული შინამრეწველისა და ხელოსნისათვის—1931 წლის საშუალო თვიური საშოვარი.

11. იმ არაშრომითს მეურნეობას, რომელიც სოფლის მეურნეობას არ ეწევა, გამოსაღები გადაჰხდება 1931 წლისათვის თვითდაბეგვრით განსაზღვრული გადასახადის რაოდენობით.

12. გამოსაღებს გამოიანგარიშებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი ან, მისი მინდობილობით, სასოფლო საბჭო.

შენიშვნა. დაწესებულება, საწარმო და ორგანიზაცია მოვალეა წარუდგინოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს ან სასოფლო საბჭოს ცნობები მისი მუშისა, მოსამსახურისა და კოოპერირებული შინამრეწველის და ხელოსნის საშოვრის რაოდენობის შესახებ.

13. განსაზღვრულ იქნეს გამოსაღების გადახდის შემდეგი ვადები:

ა) კოლმეურნეთათვის, ინდივიდუალურ შრომითს საგლეხო მეურნეობათათვის და არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთათვის: მარტის 1-თვის—30%, აპრილის 1-თვის—50% და მაისის 1-თვის—20% შეწერილი გამოსაღებისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) კულაკურ მეურნეობათათვის და იმ პირთათვის, რომელნიც სოფლის მეურნეობას არ ეწევიან, ხოლო რომელთაც აქვთ არაშრომითი შემოსავალი— თებერვლის 15-თვის შეწერილი გამოსაღების 100%;

გ) მუშებს, მოსამსახურეებს და კოოპერირებულ შინამრეწველებსა და ხელოსნებს, რომელნიც სოფლის მეურნეობას არ ეწევიან, გამოსაღები გადაჰხდებათ თანაბარ ნაწილებად 8 თვის განმავლობაში, დაწყებული 1932 წ. თებერვლის 1-დან 1932 წ. ოქტომბრის 1-მდე.

14. მას, ვინც გამოსაღებს დადგენილ ვადაზე არ გადაიხდის, შეეფარდება თვითდაბეგვრის ნარჩენების გადასახდევინებლად დაწესებული ღონისძიებანი.

15. განთავისუფლებულ იქნენ გამოსაღებით დაბეგვრისაგან შრომითი საგლეხო მეურნეობანი:

ა) დუშეთის რაიონის ყველა იმ სოფლისა, რაც შედის ბარისახოს, ბაცალიგოს, არხოტის და შატილის სასოფლო საბჭოების შედგენილობაში;

ბ) ერწო-თიანეთის რაიონის სოფლების—ხაშალოსი და ჯიგოსი;

გ) ზემო-სვანეთის და ქვემო-სვანეთის რაიონების სოფლებისა.

უფლება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—გაანთავისუფლონ გამოსაღებისაგან მთლიანად ცალკეული სოფლების მოსახლეობა.

16. ინსტრუქციას ამა დადგენილების შეფარდებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი სამი დღის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. თებერვლის 1.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 28 №-ში 1932 წ. თებერვლის 3.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

24. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ქ. ქუთაისში მდებარე სახლების მიმართ 1932 წლის მარტის 1-მდე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილების მოქმედების განგრძობისათვის, რომელი დადგენილებაც ეხება „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არმყოფ პირთა გამოსახლების თაობაზე" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

განგრძობილ იქნეს 1932 წლის მარტის 1-მდე ქალაქ ქუთაისში მდებარე სახლების მიმართ მოქმედება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 23-ის დადგენილებისა „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახლებიდან მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში არმყოფ პირთა გამოსახლების თაობაზე გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. იანვრის 29.
ტფილისი.

სოციალურ-კულტურული წესრიგილება

25. დადგენილება ც.ა.კ.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბავშვთა ცხოვრების პირობების გამაუმჯობესებელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბავშვთა ცხოვრების პირობების გამაუმჯობესებელი კომისიის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. აპრილის 5-ის დადგენილება „უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. მე-2 №-ი, მუხ. 50).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. დ. ა. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. დეკემბრის 31.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბავშვთა ცხოვრების პირობების გამაუმჯობესებელი კომისიის შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

(კომისიის მიზანი და ამოცანები)

1. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბავშვთა ცხოვრების პირობების გამაუმჯობესებელი კომისიის მიზანია საერთო ხემძღვანელობა გაუწიოს ბრძოლას საქართველოს სსრ-ში ბავშვთა უპატრონობის წინააღმდეგ, კერძოდ—დაეხმაროს ბავშვებს, პირველ რიგში—უპატრონო ბავშვებს.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად კომისია:

ა) გააერთიანებს და შეათანხმებს ყველა იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისა და ორგანიზაციის მოქმედებას, რომელიც აწარმოებს ბრძოლას ბავშვთა უპატრონობის წინააღმდეგ, და გაუწევს მას ამ საქმეში საორგანიზაციო და მატერიალურ დახმარებას; აგერთვე იგი ჩააბამს მშრომელთა ფართო მასებს ბავშვთა დახმარების საქმეში—ამ მასებს შორის თვითმოქმედებისა და საზოგადოებრივი ინიციატივის განვითარებით და პროლეტარული კონტროლის დამყარებით;

ბ) გამოსძებნის სახსარს ბავშვთა დახმარებისათვის საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად და მოაწყობს ამ სახსრის შემოსავლის საქმეს; აგრეთვე მისცემს იმ უწყებებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთაც იგი სახსარს აძლევს ბავშვთა დახმარებისათვის, დირექტივებს გადადებული თანხების დანიშნულებისა და გამოყენების წესის შესახებ და თვალყურს ადევნებს აღნიშნული თანხების წესიერად და მიზანშეწონილად ხარჯვას;

გ) მიიღებს ღონისძიებას ბავშვთა სახლების განმტკიცებისათვის და ამ სახლებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის;

დ) ხელს შეუწყობს სკოლამდე აღზრდის დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას და სკოლაში მოსწავლეებთან ფართოდ გაშლილ სკოლის-გარეშე მუშაობას; ბავშვების საპიონერო ორგანიზაციების რიგებში ჩაბმას, შეჯიბრებისა და დამკვრელობის ჩატარებას როგორც პედაგოგიურ პერსონალსა, ისე ბავშვთა შორის შრომითი მომზადებისა და შრომითი აღზრდისათვის—ბავშვთა სახლების ფაბრიკა-ქარხნებზე, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებზე და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე მიმაგრებით; ბავშვთა სახლებზე შეფობის მიღებისათვის ფართოდ გაშლილ მუშაობას—მათი ცხოვრებისა და ყოფა-მდგომარეობის ყოველი წვრილმანის მოცვით;

ე) უფლებამოსილია გაეცნოს ყველა იმ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებისა და ორგანიზაციის მოქმედებას, რომელიც ანხორციელებს ბავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვთა დახმარების საქმეს და ებრძვის ბავშვთა უპატრონობას; ამასთანავე, უკეთუ გამოაშკარავებულ იქნა ამ მუშაობის არაწესიერება, იგი აცნობებს ამას სათანადო სახალხო კომისარიატს ან სხვა ცენტრალურ ორგანოს, ხოლო უკეთუ საჭიროა, შეიტანს სათანადო წარდგინებას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

3. კომისიას უფლება აქვს შეიტანოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში წარდგინება მისი მოქმედების შესახები ყველა საკითხის გამო, ხოლო წინასწარ იგი შეუთანხმებს საკითხს დაინტერესებულ უწყებას.

4. კომისიის დადგენილება საბოლოოა და დაუყოვნებლივ აღისრულება, უკეთუ იგი შეთანხმებულია დაინტერესებულ უწყებასთან და ორგანიზაციასთან. ხოლო ის დადგენილება, რომელზედაც შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა, გადაიტანება დადგენილი წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში განსახილველად.

5. კომისია არ მოაწყობს თავის საბავშვო დაწესებულებებს; იგი თავის ღონისძიებებს ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლისა და ბავშვთა დახმარებისათვის განახორციელებს სათანადო უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით.

6. კომისიას აქვს იურიდიული პირის უფლებები იმ ფარგლებში, რაც საჭიროა ამა დებულებიდან გამომდინარე ამოცანების განხორციელებისათვის.

7. კომისიას აქვს ბეჭედი სათანადო წარწერით.

II. კომისიის ორგანოები.

8. კომისიის ორგანოებია:

ა) ცენტრში—კომისიის პლენუმი და პრეზიდიუმი;

ბ) ადგილებზე—კომისიები ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან.

სასოფლო საბჭოს დადგენილებით და სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით კომისია შეიძლება მოეწყოს სასოფლო საბჭოსთანაც.

შენიშვნა. კომისიის ადგილობრივი ორგანოების უფლება-მოვალეობათა ფარგალი განისაზღვრება მათი განსაკუთრებული დებულებით, რასაც შეიმუშავებს კომისია და დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

9. კომისიის პლენუმი მოეწყობა შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე და მისი მოადგილე, რომელთაც პერსონალურად დანიშნავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, და წევრები: თითო წარმომადგენელი განათლების სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისარიატისა, სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა, შრომის სახალხო კომისარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, სახელმწიფო პროკურატურისა, ტფილისის საქალაქო საბჭოსი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ალკკ-ისა, „ბავშვთა მეგობრის“ საზოგადოებისა, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის სრულიად საქართველოს საზოგადოებისა.

10. კომისიის პრეზიდიუმი შესდგება კომისიის თავმჯდომარისა, მისი მოადგილისა და წევრებისაგან, რომელთაც აირჩევს კომისიის პლენუმი. პრეზიდიუმის წევრთა რიცხვს განსაზღვრავს კომისიის პლენუმი.

11. პლენუმის ერთი სხდომიდან მეორე სხდომამდე კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს კომისიის პრეზიდიუმი პლენუმის დადგენილებათა საფუძველზე.

12. თავისი მოქმედებისათვის კომისია იხელმძღვანელებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დირექტივებს და ანგარიშს აგებს მის წინაშე; კომისიის მუშაობის გეგმას ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

13. კომისიის პლენუმის სხდომა მოიწვევა ორ თვეში ერთხელ მაინც, ხოლო პრეზიდიუმისა—თვეში ორჯერ მაინც.

14. კომისიის მიმდინარე მუშაობას განაგებს პასუხისმგებელი მდივანი, რომელსაც კომისიის პლენუმი ირჩევს.

III. კომისიის სახსარი.

15. კომისიის სახსარს შეადგენს:

ა) ნებაყოფლობითი გამოსაღები და გადასახადი—ერთდროული და პერიოდული;

ბ) კომისიის მიერ გამართული საღამოებისა, ბაზრებისა, წარმოდგენებისა, კონცერტებისა, კინო-სეანსებისა და სხვა მისთ. შემოსავალი; აგრეთვე კომისიის მიერ, კანონით დადგენილი წესისამებრ, მოწყობილ ამა თუ იმ სამრეწველო-სავაჭრო და სხვა დამხმარე საწარმოთა შემოსავალი;

გ) სახელმწიფო სუბსიდია;

დ) სხვა წყაროები, რასაც საკანონმდებლო ორგანოები მიაკუთვნებენ კომისიას განსაკუთრებული დადგენილებებით.

შენიშვნა. კომისიის სახსარი იხარჯება ბავშვთა დახმარების ღონისძიებებზე, პირველ რიგში—უპატრონო ბავშვთა დახმარებისათვის.

16. კომისია წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგენს თავისი მოქმედების ანგარიშს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

შენიშვნა. კომისია აგრეთვე საჯარო ანგარიშგება-ვალდებულია არსებული წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. სარევიზიო კომისია.

17. კომისიის ანგარიშგებისა და ბალანსების განსახილველად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი დანიშნავს სარევიზიო კომისიას 3 წევრის შედგენილობით.

18. სარევიზიო კომისია თავისი მუშაობის ანგარიშს წარუდგენს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

V. კომისიის ლიკვიდაცია.

19. კომისიის ლიკვიდაცია მოხდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით; იგივე განსაზღვრავს ამ ლიკვიდაციის წესს.

---

26. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

კინოფიკაციის ფონდების დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

კინოფიკაციის ფონდების დებულების 1-ლი მუხ., მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი და მე-11 და 12 მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 116) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„1. კინოფიკაციის სპეციალური ფონდები შეიქმნება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების განკარგულებაში“.

„9. (1-ლი ნაწილი.) მე-2 მუხლის „ა“, „ბ“, „დ“ და „ზ“, პუნქტის წესისამებრ კინოფიკაციის ფონდების შესაქმნელად მიქცეული სახსრის 50% შედის სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ კინოფიკაციის ფონდში—კუთვნილებისამებრ, ხოლო დანარჩენი 50%—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებთან არსებულ კინოფიკაციის ფონდში“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„11. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან, აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებთან მოეწყობიან კინოკომიტეტები.“

„12. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ კინო-კომიტეტს დაეკისრება:

ა) შეამოწმოს კინო-ქსელის მქონე და კინო-მუშაობისათვის სახსრის მქონე ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ბალანსები;

ბ) თვალყური ადევნოს, რათა ამა დებულებით გათვალისწინებული ანარიცხები თავის დროზე შედიოდეს რესპუბლიკანურ კინოფიკაციის ფონდში;

გ) მოაწყოს ნებაყოფლობითი გამოსაღების შეკრეფა მოსახლეობაში კინოფიკაციის საჭიროებისათვის;

დ) აღძრას პროფესიონალური, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე საკითხი სპეციალური ასიგნების გადადების შესახებ;

ე) შეადგინოს კინოფონდების სახსართა შექმნისა და ხარჯვის წინასწარი გეგმები და ხარჯთაღრიცხვები და წარუდგინოს დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს;

ვ) აღასრულოს დამტკიცებული გეგმები და ხარჯთაღრიცხვები;

ზ) შეადგინოს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში წარსადგენი წლიური ანგარიშები;

თ) აუწყოს დაინტერესებულ ორგანიზაციებს—წარადგინონ თავიანთი განცხადებები რაიონების საკინოფიკაციოდ მათთვის საჭირო ახალი კინო-წერტების რაოდენობის შესახებ და აგრეთვე განცხადებები არსებული კინო-ქსელის რემონტის შესახებ;

ი) გაუწიოს კორექტირება განცხადებებს რაიონების საჭიროებისა და მნიშვნელობის მიხედვით;

კ) აღძრას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე საკითხი რესპუბლიკანური ფონდის დოტაციით გაძლიერების შესახებ;

ლ) გაუწიოს ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა ადგილობრივი კინოკომიტეტების მუშაობას;

მ) განახორციელოს ყველა სხვა ღონისძიება, რაც მიმართულ იქნება საქართველოს სსრ-ში კინოფიკაციის საქმის მაქსიმალურად განვითარებისათვის“.

II.

კინოფიკაციის ფონდების დებულებას დაემატოს მე-13, 14, 15 და 16 მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„13. ადგილობრივ კინო-კომიტეტებს დაეკისრებათ:

ა) იხმარონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ამა დებულებით გათვალისწინებული ანარიცხები თავის დროზე შედიოდეს კინოფიკაციის ადგილობრივ ფონდებში;

ბ) მოაწყონ ნებაყოფლობითი გამოსაღების შეკრეფა მოსახლეობაში კინოფონდის გაძლიერებისათვის;

გ) აღძრან პროფესიონალური, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე საკითხი სპეციალური ასიგნების გადადების შესახებ;

დ) შეადგინონ კინო-ფონდების სახსართა შექმნისა და ხარჯვის წინასწარი გეგმები და ხარჯთაღრიცხვები სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კინო-კომიტეტის საერთო დირექტივებისა, გეგმებისა და ინსტრუქციების შესაბამისად და წარუდგინონ დასამტკიცებლად სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს ან საქალაქო საბჭოს—კუთვნილებისამებრ;

ე) აღასრულონ დამტკიცებული გეგმები და ხარჯთაღრიცხვები და შეადგინონ სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისთვის თუ საქალაქო საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარსადგენი წლიური ანგარიშები;

ვ) განახორციელონ ყველა სხვა ღონისძიება, რაც მიმართულ იქნება სათანადო ტერიტორიაზე სასოფლო კინო-ქსელის მაქსიმალურად გაფართოებისა და განმტკიცებისათვის".

„14. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კინო-კომიტეტი მოეწყობა შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი თავის წევრთაგან, და წევრები—განათლების სახალხო კომისარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, სახელმწიფო კინო-მრეწველობისა, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, ცეკავშირისა და საკოლმეურნეო ცენტრის წარმომადგენელნი".

„15. ადგილობრივი კინო-კომიტეტები მოეწყობიან შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი ან საქალაქო საბჭო თავის წევრთაგან, და წევრები—საფინანსო მმართველობისა, სამომხმარებლო კოოპერაციისა, საკოლმეურნეო სისტემისა, პოლიტგანათლებისა და პროფესიონალური კავშირების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელნი".

„16. კინო-კომიტეტებს მომსახურეობას გაუწევს იმ აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების აპარატი, რომლებთანაც ეს კომიტეტები არსებობენ".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. იანვრის 20.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართალი

27. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხლის პირველი ნაწილის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხლის პირველი ნაწილი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ხელობის სახით ისეთი პროდუქტისა, მასალისა და ნაკეთობის დამზადება, შენახვა, გადამუშავება და შესყიდვა გასაღების მიზნით და თვით გასაღება, რომელთა შესახებაც არსებობს სპეციალური აკრძალვა ან შეზღუდვა, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე ან ჯარიმას აღნიშნული პროდუქტისა, მასალისა და ნაკეთობის ხუთჯერად ღირებულებამდე, ამ პროდუქტისა, მასალისა და ნაკეთობის ჩამორთმევით და ვაჭრობის აკრძალვით“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. იანვრის 20.
ტფილისი.

---

28. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 196² მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის, დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 196² მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„196². სათანადო ნებართვის გარეშე საზღვარგარეთ განცხადება ისეთი გამონაგონისა, რაც წარმოქმნილია სსრკ-ის ფარგლებში, აგრეთვე ისეთი გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგონისა, რაც წარმოქმნილია საზღვარგარეთ სსრკ-ის სახელმწიფოსაგან წარვლინებული საბჭოთა მოქალაქის მიერ, გამოიწვევს

იძულებითს მუშაობას ერთ წლამდე ან ჯარიმას ათას მანეთამდე.

სათანადო ნებართვის გარეშე საზღვარგარეთ გადაცემა ამა მუხლის 1-ლ ნაწილში აღნიშნული გამონაგონისა—

თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით.

შენიშვნა. საზღვარგარეთ განცხადება თუ გადაცემა ისეთი გამონაგონისა და გაუმჯობესებისა, რაც სახელმწიფოს თავდაცვას ეხება, აგრეთვე ისეთი სხვა გამონაგონისა და გაუმჯობესებისა, რაც ცნობილია საიდუმლო გამონაგონად და გაუმჯობესებად, გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 58[6] მუხლის თანახმად".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. იანვრის 20.
ტფილისი.

---

29. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 210[1] მუხლის დამატებისა და ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის განხილვის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7)—

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 210[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„210[1]. საჯარო ანგარიშგების წესების დარღვევა გამოიწვევს

იძულებითს მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

II.

სისხლის სამართლის კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეთა განხილვა წარმოებულ იქნეს სასამართლოს ბრძანების წესით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1932 წ. იანვრის 20.
ტფილისი.

მთავლიტი № 424. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.200.